№480
13.12.106

ცვლილება №706-101130

№05 პროგრამების"GSS კოდექსი" და „SuperFin 6" შესახებ ხელშეკრულებაში

დადებულია 04/01/2010

ერთი მხრივ – შ.პ.ს. "ქართული პროგრამული სისტემები", (შემდგომში შემსრულებელი), მომხმარებლებთან ურთიერთობის განყოფილების დირექტორის, ცირა პაქსაშვილის, და მეორეს მხრივ ს.ს.ი.პ. ბორჯომის მუნიციპალიტეტი (შემდგომში დამკვეთი), საკრებულოს თავმჯდომარის ბესიკ ქურდაძის სახით, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 04/01/2010 თარიღში დადებული პროგრამების "GSS კოდექსი" და „SuperFin 6" შესახებ №05 ხელშეკრულების საგანში მითითებული პროდუქტების რაოდენობას დაემატოს "SuperFin 6" ქსელური ორ მომხმარებლიანი ვერსიის ერთი ცალი პროდუქტი, რომელთა გამოყენების საფუძველზეც დამკვეთს ექნება შესაძლებლობა:

- დააინსტალიროს პროგრამა „სუპერ ინ 6" და პროგრამა **"GSS კოდექსი"** საკუთარ კომპიუტერ(ებ)ზე.
- ინტერნეტის გამოყენებით შემსრულებლის სერვერიდან, ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში, სისტემატიურად განაახლოს შესაბამისი პროგრამა **„SuperFin 6"**, პროგრამა **"GSS კოდექსი"** და ამ უკანასკნელის პროგრამულად დამუშავებული (შეცვლილი) საკანონმდებლო მონაცემთა ბაზა.

1.2 მხარეთა შეთანხმებით ცვლილებები შედის 04/01/2010 თარიღში დადებულ, პროგრამების "GSS კოდექსი" და „SuperFin 6" შესახებ №05 ხელშეკრულებაში.

2. ცვლილება

2.1 გაუქმდეს 04/01/2010 თარიღში დადებული პროგრამების "GSS კოდექსი" და „SuperFin 6" ესახებ №05 ხელშეკრულების 2 პუნქტის ყველა ქვეპუნქტი.

2.2 04/01/2010 თარიღში დადებული პროგრამების "GSS კოდექსი" და „SuperFin 6" შესახებ №05 ხელშეკრულებაში 2.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- დამატებული **"SuperFin 6"** ქსელური ორ მომხმარებლიანი ვერსიის ერთი ცალი პროგრამის ღირებულება შეადგენს 800 (რვაასი) ევროს ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში გადახდის დღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო კურსით და მასზე მომსახურების ვადა განისაზღვრება 30/11/2011 თარიღამდე. აღნიშნული თანხა შეიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

2.3 იმავე ხელშეკრულებაში 2.2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

- მომსახურების მოქმედების ვადის 1 თვით გასაგრძელებლად გადასახადის ღირებულება პროგრამულ პროდუქტ(ებ)ზე **"SuperFin 6"** ერთმომხმარებლიანი ვერსიის ერთი ცალი „პროდუქტისთვის განისაზღვრება 10 (ათი) ევროს და ქსელური

დამკვეთი _____ შემსრულებელი _____

ორ მომხმარებლიანი ვერსიისათვის განისაზღვრება 20 (ოცი) ევროს, ხოლო პროგრამულ პროდუქტზე **"GSS კოდექსი"** ერთმომხმარებლიანი ვერსიის ერთი ცალი პროდუქტისთვის განისაზღვრება 20 (ოცი) ევროს ექვივალენტით ეროვნულ ვალუტაში, რაც წლის ბოლომდე შეადგენს 50 (ორმოცდაათი) ევროს ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში გადახდის დღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო კურსით. თანხა შეიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

2.4 იმავე ხელშეკრულებაში 2.3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

- შემდგომ ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში ანგარიშსწორება ხორციელდება (ყოველთვიური მომსახურების ღირებულებას დამატებული უკვე გაწეული დამატებითი მომსახურების ღირებულება) კვარტალურად, ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით. გადახდის დღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო კურსით.

3. სხვა დებულებები

3.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელისმოწერის დღიდან.

3.2 04/01/2010 თარიღში დადებული პროგრამების "GSS კოდექსი" და „SuperFin 6" შესახებ №05 ხელშეკრულების ის დებულებები, რომლებიც არ იცვლებიან წინამდებარე ხელშეკრულებით, რჩება ძალაში.

3.3 ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამი) ეგზემპლიარად.

4. მხარეთა რეკვიზიტები

4.1 დამკვეთი: ბორჯომის მუნიციპალიტეტი, ქ. ბორჯომი რუსთაველის მოედანი ს.ს „ტიბისი ბანკი"–ს ს/ჯ ფილიალი" *ა/ა GE23TB01 0583 3030 1000 01* საბანკო კოდი: 220101762, ს/კოდი: 226161961

4.2 **შემსრულებელი:** შ.პ.ს. "ქართული პროგრამული სისტემები"

იურიდიული მისამართი: 0159, თბილისი, დიღმის მასივი, 1 კვარტალი, 1 ბ კორპუსი, ბინა 86

საბანკო მონაცემები:

ს/ს "თიბისი ბანკი" კოდი 220101830 ა/ა GE41TB0600000027467795

დამკვეთი	შემსრულებელი
ბ. ა.	ბ. ა.
დამკვეთი _____	შემსრულებელი _____